# მთავარი

# ჟურნალი?

# PIQREBI .GE





## თემები

__სერიალი__:

აპოკალიფსი,

ჟამთასვლა,

ხმა ჟამისა,

ელვა,

მოუთმენელი,

ანტივაქსერიანა.

__ახალი__:

მიხეილ სააკაშვილი

[მისტერია]



რუსუდან ყნიას ფოტო.1964წ.

ჩაჟაში.ეკლესიის ჯვრის ფრაგმენტი

დავით ჩუბინი

# ფიქრები

ჩემ სამშობლოზე

და

წუთისოფელზე[ც]

ფილოსოფიურ-ესთეტიკური;

პოლიტიკურ-გასართობი;

გაგრძელებიანი;

წყვეტილი;

სერიალი

## ფიქრი არის სიცოცხლე.

ცოცხალია ის, ვისაც ფიქრი შეუძლია. ფიქრს გამოხატვის საშუალება აქვს. ადამიანმა ფიქრის გამოხატვის ბევრი საშუალება შექმნა. დახვეწა. იარაღადაც აქცია.

მე, ჩემი ყურშასაგან, ფიქრის გადმოცემის ფლობით განვსხვავდები ..... მაღლა ვდგევარ??

ის- უცოდველობით - ჩემზე ხალასი, სუფთა არსებაა. მიუხედავად იმისა, რომ კბენა იცის.

პირველი ფიქრის სიტყვასთან, ალბათ, ის უფრო ახლოსაა, ვინც თავის შიგნით პირველ ფიქრს ეძებს. ყველაფერი რაც ადამიანის გარეთ ხდება, მის შიგნით ფიქრების წყებას ბადებს.

ადამიანს სერი უყვარს და, ყველა საშუალებით, უხვად აფრქვევს ნაფიქრალს.

ფიქრი, სასრულ სივრცეში არ ცხოვრობს. ყველაფრის გაღწევა და ყველაფერში შეღწევა შეუძლია. მისთვის შავი ხვრელები არ არსებობს.

ყველაფერი არის ფიქრი!

ხის ტაბურეტი, რომელიც დღეს ''ელიავას დახლებზე'' ვიყიდე, არის ფიქრი დურგლისა, რომელმაც ის გააკეთა!

დავით ჩუბინი
2021წ.